აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის პროექტი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება, საფეხური

ეკოლოგია, ბაკალავრიატი

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სახელწოდება

სსიპ - სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტი

შეფასების თარიღ(ებ)ი 30.03.2022 – 8.04.2022

დასკვნის წარდგენის თარიღი 11.05.2022

თბილისი
2022

ინფორმაცია უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების შესახებ[1]

დაწესებულების სახელწოდება ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის მითითებით	სსიპ - სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტი
დაწესებულების საიდენტიფიკაციო კოდი	424066977
დაწესებულების სახე	უნივერსიტეტი

ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	ეკოლოგია
უმაღლესი განათლების საფეხური	ბაკალავრიატი
მისანიჭებელი კვალიფიკაცია[2]	ეკოლოგიის ბაკალავრი
დეტალური სფეროს დასახელება და კოდი	05 საბუნებისმეტყველო მეცნიერებები, მათემატიკა და სტატისტიკა 052 გარემო 0521.1.2 ეკოლოგია
ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითება (მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული საბაკალავრო-სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის ან მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში)	-
სწავლების ენა	ქართული
ECTS კრედიტების რაოდენობა	240 ECTS კრედიტი
პროგრამის სტატუსი (ავტორიზებული/აკრედიტებული/პირობით აკრედიტებული/ახალი/საერთაშორისო აკრედიტაცია) შესაბამისი გადაწყვეტილების მითითებით (ნომერი, თარიღი)	აკრედიტებული

ექსპერტთა ჯგუფის წევრები

თავმჯდომარე (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	ვაჟა ტრაპაიძე, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო

[1] ერთობლივი საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში: მიეთითება ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის განმახორციელებელი დაწესებულებები; „დაწესებულების საიდენტიფიკაციო კოდის“ და „დაწესებულების სახის“ მითითება არ არის სავალდებულო უცხო ქვეყნის დაწესებულებ(ებ)ისათვის

[2] უცხო ქვეყნის დაწესებულებასთან ერთად ერთობლივი საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შემთხვევაში თუ განსხვავდება მისანიჭებელი კვალიფიკაციის ფორმულირება, მიეთითება ცალ-ცალკე დაწესებულებების მიხედვით

	უნივერსიტეტი
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	ბელა ჯაფოშვილი, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	ია ნაცვლიშვილი, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	ვლადიმერ ბერაია, საქართველოს უნივერსიტეტი

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის შემაჯამებელი დასკვნა

- **ზოგადი ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ**

საგანმანათლებლო საბაკალავრო პროგრამა „ ეკოლოგია“ აკრედიტებულ რეჟიმში ფუნქციონირებს 2012 წლიდან. მოიცავს 240 კრედიტს. პროგრამა აქტუალურია და მისი განხორციელება როგორც რეგიონისათვის, ისე საქართველოსთვისაც მნიშვნელოვანია. პროგრამა უზრუნველყოფს მიზნების შესაბამისად სწავლის შედეგების მიღწევას. წლების მანძილზე პროგრამამ განიცადა გარკვეული განახლებები, რაც დაკავშირებული იყო როგორც საკანონმდებლო და ნორმატიული დოკუმენტების ცვლილებებთან და შრომის ბაზრის ცვალებად მოთხოვნებთან, ასევე პროგრამის გაუმჯობესებისა და ხარისხის შიდა უზრუნველყოფის მექანიზმების გამოყენებასთან.

2021 წელს შემუშავდა პროგრამის განახლებული და მოდერნიზებული ვარიანტი, რომელიც დაწესებულებამ წარადგინა განმეორებითი აკრედიტაციისათვის. განახლება და მოდიფიცირება მოიცავდა: სწავლის შედეგების განახლებას, კურიკულუმის რუკის ახალი ვარიანტის შედგენას, ლიტერატურის განახლებას და სხვა.

- **აკრედიტაციის ვიზიტის მიმოხილვა**

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის მიერ "ეკოლოგიის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასება განხორციელდა „ჰიბრიდული“ მეთოდით: ექსპერტთა ჯგუფის აკრედიტაციის პროცესით გათვალისწინებული ინტერვიუირება დისტანციურად, zoom-ის პროგრამის გამოყენებით, განხორციელდა 2022 წლის 28 მარტს, ხოლო ხოლო მატერიალურ-ტექნიკური რესურსების შეფასება განხორციელდა ადგილზე ჯგუფის თავმჯდომარის ვაჟა ტრაპაიძის და წევრის ვლადიმერ ბერაიას ვიზიტით. აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფმა იმუშავა წინასწარ განსაზღვრული დღის წესრიგით, დისტანციური მუშაობის რეჟიმის შეფერხებების გარეშე.

უნივერსიტეტის მატერიალურ-ტექნიკური რესურსების დათვალიერება და შეფასება განხორციელდა დაწესებულებაში ვიზიტის საფუძველზე, რომლის ფარგლებში დაწესებულებამ ექსპერტებს აჩვენა და წარუდგინა პროგრამის განხორციელებისათვის გამოყენებული ყველა მნიშვნელოვანი სასწავლო სივრცე და მატერიალურ-ტექნიკური რესურსი.

- **საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტებთან შესაბამისობის მოკლე მიმოხილვა**

პროგრამის სტანდარტებთან შესაბამისობა შემოწმდა მოქმედი რეგულეციების შესაბამისად საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა - შესაბამისობაშია მოთხოვნებთან; სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა - შესაბამისობაშია მოთხოვნებთან; სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა -

შესაბამისობასია მოთხოვნებთან; სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა - შესაბმისობაშია მოთხოვნებთან; სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები - შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

- **რეკომენდაციები**
  - დაემატოს სავალდებულო საგანი „ზოოლოგია“, რადგან მომავალი ეკოლოგებისათვის მნიშვნელოვანია ზოოლოგიის საბაზისო ცოდნა.
  - საუკეთესო საერთაშორისო პრაქტიკის გასაზიარებლად დაწესებულებამ დოკუმენტური სახით პერიოდულად უზრუნველყოს საბაკალავრო პროგრამის შედარება/დადარება საზღვარგარეთის წამყვანი უნივერსიტეტების ანალოგიურ საგანმანათლებლო პროგრამებთან. შერჩეული, შესწავლილი და გაანალიზებული უნდა იქნას ასეთი უნივერსიტეტების მაგალითები და შეიქმნას შედარების ანალიტიკური დოკუმენტი, რომელიც გამოყენებული იქნება პროგრამის შემდგომი განვითარებისთვის.

- **რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**
  - გამარტივდეს „სასწავლო პრაქტიკა -1“-ზე დაშვების წინაპირობები
  - არჩევით საგანში „ნიადაგის ეკოლოგია“ ძალიან დიდი ადგილი აქვს დათმობილი ნიადაგის ცალკე სტრუქტურის და მახასიათებლების განხილვას, სასურველია მეტი თემატიკა ნიადაგისა და ცოცხალი სამყაროს ინტერაქციაზე.
  - შესაძლებელია „გლობალურ ეკოლოგიასა“ და „ეკოლოგიის საფუძვლების“ ერთ საგნად გაერთიანება.
  - „ეკოგეოფიზიკა“, „ფიზიკა“ და „რადიაციული ეკოლოგია“ სამი 4 კრედიტიანი ცალკე საგანია, სასურველია შესასწავლი საკითხები ინტეგრირდეს ორ 5 კრედიტიან საგანში.
  - საგანი „საქართველის ბიომრავალფეროვნება“ შესაძლებელია წინაპირობის გარეშე
  - სასურველია გასწორდეს საგნის „გარემოს მდგრადი განვითარება“ სილაბუსის დიზაინი და მოექცეს სხვა სილაბუსების შესაბამის ფორმატში.
  - კარიერული კუთხით მომუშავე სამსახურმა კიდევ უფრო მეტად აქტიურად იმუშაოს დასაქმების ბაზარზე, საკუთარი კურსდამთავრებულების დასაქმების მაჩვენებლის გაზრდის მიზნით.

- **საუკეთესო პრაქტიკის მოკლე მიმოხილვა (არსებობის შემთხვევაში**

- **ხელახალი აკრედიტაციისას, მნიშვნელოვანი მიღწევებისა და/ან პროგრესის მოკლე მიმოხილვა (ასეთის არსებობის შემთხვევაში)**

პროგრამის შესაბამისობა აკრედიტაციის სტანდარტებთან

1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა

პროგრამას აქვს ნათლად ჩამოყალიბებული მიზნები და სწავლის შედეგები, რომლებიც ლოგიკურადაა ერთმანეთთან დაკავშირებული. პროგრამის მიზნები შეესაბამება უნივერსიტეტის მისიას, მიზნებსა და სტრატეგიულ გეგმას. პროგრამის გაუმჯობესებისთვის მუდმივად ფასდება პროგრამის სწავლის შედეგები.

1.1 პროგრამის მიზნები
პროგრამის მიზნები ასახავს, თუ რა ცოდნის, უნარებისა და კომპეტენციების მქონე კურსდამთავრებულის მომზადებისკენ არის მიმართული და რა წვლილი შეაქვს სფეროსა და საზოგადოების განვითარებაში.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი საგანმანათლებლო პროგრამის მიზნები ნათლად არის ჩამოყალიბებული, რეალისტური და მიღწევადია. ითვალისწინებს ეკოლოგიის სფეროში არსებულ მოთხოვნებს, ორიენტირებულია შესაბამისი კომპეტენციის მქონე სპეციალისტების მომზადებისაკენ. მასში გათვალისწინებულია ადგილობრივი შრომის ბაზრის მოთხოვნები და დასაქმების ტენდენციები. იგი შეესაბამება სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის, ინჟინერიის, აგრარულ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის მისიასა და სტრატეგიას. მიზანში ნათლად ჩანს, თუ რა კომპეტენციის მქონე კურსდამთავრებულს მოამზადებს პროგრამა. კერძოდ, ეკოლოგიის სფეროში ისეთი სპეციალისტის მომზადებას, რომელიც შეძლებს ბუნებრივი და ანთროპოგენული ზემოქმედების შედეგად მიმდინარე მოვლენების ახსნას ცოცხალ ორგანიზმებთან მიმართებაში, ასევე პროგრამის მიზნებში წარმოდგენილია პროგრამის ხედვა და მიმართება, რაც მოიცავს კურსდამთავრებულის ცოდნის, უნარებისა და კომპეტენციების საკვანძო აღწერას. პროგრამის მიზნები პასუხობს ეკოლოგიის დარგობრივ სფეროს და ბაკალავრიატის საფეხურზე, არსებული სასწავლო გეგმის, სილაბუსების, მატერიალური რესურსების და აკადემიური პერსონალის გათვალიწინებით მიღწევადია. პროგრამის მიზნები საჯარო და ხელმისაწვდომია უნივერისტეტის ვებ-გვერდზე, სადაც დაინტერესებულ პირებს შეუძლიათ გაეცნონ პროგრამის უპირატესობებს, მიღების წინაპირობებს და სასწავლო გეგმას. აკრედიტაციის ვიზიტის განმავლობაში, ინტერვიუების ჩატარებისას გამოვლინდა, რომ პროგრამის მიზნები გაზიარებულია დაინტერესებული მხარეების მიერ.
მტკიცებულებები/ინდიკატორები - ეკოლოგიის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა; - უნივერსიტეტის მისია, სტრატეგია; - შრომის ბაზრისა და დამსაქმებელთა მოთხოვნების ანალიზი; - სჯსუ-ს ვებგვერდი www.sjuni.edu.ge;
რეკომენდაციები: o წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

- პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

- მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

შეფასება

- ✓ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

1.2 პროგრამის სწავლის შედეგები

- ➢ პროგრამის სწავლის შედეგები აღწერს იმ ცოდნას, უნარებსა ან/და პასუხისმგებლობასა და ავტონომიურობას, რომლებსაც სტუდენტი იძენს პროგრამის დასრულებისას;
- ➢ პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების პროცესი მოიცავს სწავლის შედეგების გასაზომად საჭირო მონაცემთა განსაზღვრას, შეგროვებასა და ანალიზს;
- ➢ შეფასების შედეგები გამოიყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

წარმოდგენილი საბაკალავრო პროგრამის სწავლის შედეგები შეესაბამება საბაკალავრო საფეხურს. პროგრამის სწავლის შედეგები კომპლექსურია და აღწერილია "ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს" შესაბამისად, სწავლის შედეგები წარმოდგენილია სამი ძირითადი კომპეტენციით: ცოდნა და გაცნობიერება; უნარები; პასუხისმგებლობა და ავტონომიურიობა.

სწავლის შედეგები ძირითადად მოიცავს: ძირითადი ეკოლოგიური კანონების გაცნობა-განმარტებას, გარემოსდაცვითი ღონისძიებების მნიშვნელობას, ანთროპოგენული ზემოქმედების შედეგებს, ცოცხალი ბუნების თავისებურებებს ქიმიურ და ფიზიკურ მოვლენებთან ურთიერთკავშირში და სხვა

პროგრამის სწავლის შედეგები ძირითად ნაწილში შეესაბამება შინაარსით გათვალისწინებულ ძრითად ცოდნას უნარებს ან/და პასუხისმგებლობასა და ავტონომიურობას, მისანიჭებელი კვალიფიკაცია შეესაბამება დონეს და მოქმედ რეგულაციებს. საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა „ეკოლოგია" შესაძლებლობას აძლევს სტუდენტს შეიძინოს ცოდნა, გამოიმუშაოს უნარები და მოახდინოს მათი დემონსტრირება. სწავლის შედეგების შესაფასებლად გამოიყენება, როგორც პირდაპირი, ასევე არაპირდაპირი მეთოდი, რომელსაც განსაზღვრული აქვს სწავლის შედეგების მიღწევის სამიზნე ნიშნულები.

პროგრამის სწავლის შედეგების განსაზღვრისა და მისი იმპლემენტაციის ყველა ეტაპზე

მონაწილეობას იღებს სამცხე-ჯავახეთის უნივერსიტეტის აკადემიური და მოწვეული პერსონალი, სტუდენტები, კურსდამთავრებულები, დამსაქმებლები და ადმინისტრაცია. პროგრამის განმახორციელებლები უზრუნველყოფენ დაინტერესებული პირებისთვის სწავლის შედეგების გაცნობას. პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების ანალიზი გამოიყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად, რაც გულისხმობს, საჭიროების შემთხვევაში, პროგრამის შინაარსის და/ან სწავლის შედეგების და/ან შეფასების სისტემის მოდიფიცირებას.
მტკიცებულებები/ინდიკატორები - საგანმანათლებლო პროგრამა „ეკოლოგია“; - პროგრამის მიზნებისა და სწავლის შედეგების რუკა; - სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმი; - გამოკითხვის შედეგები; - ინტერვიუები;
რეკომენდაციები: წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): o პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) o მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
შეფასება ✓ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის				

შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა	✓			

2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა

პროგრამაზე დაშვების წინაპირობები, პროგრამის სტრუქტურა, შინაარსი, სწავლება-სწავლის მეთოდები და სტუდენტთა შეფასება უზრუნველყოფს დასახული მიზნებისა და მოსალოდნელი სწავლის შედეგების მიღწევას.

2.1 პროგრამაზე დაშვების წინაპირობები
უსდ-ს განსაზღვრული აქვს პირთა პროგრამაზე დაშვების შესაბამისი, გამჭვირვალე, სამართლიანი, საჯარო და ხელმისაწვდომი წინაპირობები და პროცედურები.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზიგნ საქართველოში საბაკალავრო პროგრამაზე დაშვების წინაპირობები განსაზღვრულია სახელმწიფოს რეგულაციებით. ამ მოთხოვნებისა და სხვა მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად, დაწესებულებას განსაზღვრული აქვს პროგრამაზე დაშვების შესაბამისი, გამჭვირვალე, სამართლიანი, საჯარო და ხელმისაწვდომი წინაპირობები და პროცედურები, კერძოდ: პროგრამაზე დაშვების წინაპირობებით მინიმალური კომპეტენციის მოთხოვნაა ზოგადი განათლება, რაც დასტურდება სახელმწიფო სერტიფიკატის/ატესტატის ან მასთან გათანაბრებული დოკუმენტით. პროგრამაზე სტუდენტთა ჩარიცხვა ხდება ერთიანი ეროვნული გამოცდების შედეგების საფუძველზე. ეკოლოგიის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე შესაძლებელია მობილობის წესით ჩარიცხვა საქართველოს განათლების და მეცნიერების სამინისტროს მიერ დადგენილ ვადებში, სავალდებულო პროცედურებისა და უნივერსიტეტის მიერ დადგენილი წესების დაცვით. პროგრამაზე დაშვების წინაპირობები შესაბამისობაშია პროგრამის შინაარსთან და მისანიჭებელ კვალიფიკაციასთან; დაინტერესებულმა პირმა ეს ინფორმაცია შესაძლებელია იხილოს უნივერსიტეტისა და ფაკულტეტის ვებ-გვერდებზე, ერთიანი ეროვნული გამოცდების ცნობარში.
მტკიცებულებები/ინდიკატორები - საგანმანათლებლო პროგრამა; - უნივერსიტეტის ვებ გვერდი;
რეკომენდაციები: წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): o პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) o მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
შეფასება ✓ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.2 საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი
პროგრამა შედგენილია უსდ-ში მოქმედი საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის გამოყენებით. პროგრამის შინაარსი ითვალისწინებს პროგრამაზე დაშვების წინაპირობებსა და სწავლის შედეგებს. პროგრამის სტრუქტურა თანმიმდევრული და ლოგიკურია. შინაარსი და სტრუქტურა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას. მისანიჭებელი კვალიფიკაცია შესაბამისობაშია პროგრამის შინაარსთან და სწავლის შედეგებთან.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი წარმოდგენილი პროგრამის მოცულობაა 240 კრედიტი, რაც სრულად შეესაბამება საბაკალავრო საფეხურს. პროგრამაში შემავალი სასწავლო კომპონენტები დალაგებულია თანმიმდევრულად და ლოგიკურად და შემდგომ კომპონენტზე დაშვების წინაპირობები ძირითადად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან. პროგრამაში კომპონენტების თანაფარდობა შემდეგი სახითაა წარმოდგენილი: 30 კრედიტი - თავისუფალი სავალდებულო კომპონენტების სასწავლო კურსები. 130 კრედიტი - ძირითადი სწავლის სფეროს სავალდებულო სასწავლო კურსები; 10 კრედიტი - ძირითადი სწავლის სფეროს არჩევითი სასწავლო კურსები; 10 კრედიტი - თავისუფალი არჩევითი სასწავლო კურსები; 60 კრედიტი - დამატებითი პროგრამა ან სასწავლო კურსები. სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტში შემუშავებულია და მოქმედებს საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია, რომელიც სრულადაა გამოყენებული წარმოდგენილი პროგრამის შემთხვევაში. ეკოლოგის პროგრამა აგებულია საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით და ევროპული კრედიტების ტრანსფერის სისტემის შესაბამისად, რომელსაც სრულად ითვალისწინებს სჯსუ-ს აღნიშნული მეთოდოლოგიაც. პროგრამა აკრედიტებულ რეჟიმში ფუნქციონირებს 2012 წლიდან და ასეთი სტატუსით არსებობის განმავლობაში ვითარდებოდა საუნივერსიტეტო რეგულაციიის „საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვის, შემუშავების, შეფასებისა და განვითარების წესი“ გამოყენებით. ამ პერიოდში იხვეწებოდა პროგრამის შინაარსი, სასწავლო კურსებში გამოყენებული სწავლა-სწავლების მეთოდები, შეფასების მიდგომები, სასწავლო გეგმის კონფიგურაცია, მაგ. ზოგი საგანი გადავიდა არჩევითში, ზოგი გახდა სავალდებულო,

მაგალითად სავალდებულო საგნად დაემატა საბაკალავრო ნაშრომი. ასევე აღსანიშნავია რომ გათვალისწინებულია წინა აკრედიტაციის დროს გამოთქმული შენიშვნები. სასწავლო პროგრამაში გათვალისწინებულია სასწავლო პრაქტიკა 10 კრედიტის ოდენობით (ორ სემესტრი) რაც მისასალმებელი ფაქტია.| მიზნებისა და შედეგებიდან გამოდინარე მიზანშეწონილია პროგრამას დაემატოს „ზოოლოგია“, რადგან მომავალი ეკოლოგებისათვის მნიშვნელოვანია ზოოლოგიის საბაზისო ცოდნა.
მტკიცებულებები/ინდიკატორები - საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია - საბაკალავრო პროგრამა ეკოლოგია - ინტერვიუები
რეკომენდაციები: - დაემატოს სავალდებულო საგანი „ზოოლოგია“, რადგან მომავალი ეკოლოგებისათვის მნიშვნელოვანია ზოოლოგიის საბაზისო ცოდნა;
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის - შესაძლებელია გლობალურ ეკოლოგიასა და ეკოლოგიის საფუძვლების ერთ საგნად გაერთიანება; - ეკოგეოფიზიკა, ფიზიკა და რადიაციული ეკოლოგია სამი 4 კრედიტიანი ცალკე საგანია, შესაძლებელია შესასწავლი საკითხები ინტეგრირდეს ორ 5 კრედიტიან საგანში;
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): o პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) o მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
შეფასება ☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ✓ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.3. სასწავლო კურსი
➢ ძირითადი სფეროს თითოეული სასწავლო კურსის სწავლის შედეგები შეესაბამება პროგრამის სწავლის შედეგებს, ხოლო ყოველი სასწავლო

კურსის/საგნის/მოდულის/კონცენტრაციის შინაარსი და კრედიტების რაოდენობა შეესაბამება ამ კურსის სწავლის შედეგებს; ➢ სილაბუსში მითითებული სასწავლო მასალა დაფუძნებულია სწავლის სფეროს აქტუალურ მიღწევებზე და უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი საგანმანათლებლო პროგრამის „ეკოლოგია“ სასწავლო კურსები ქრონოლოგიურად ვითარდება.დისციპლინების შესწავლა მიმდინარეობს ლოგიკური თანმიმდევრობით და ატარებს კომპლექსურ ხასიათს.ზოგიერთ შემთხვევაში კონკრეტული საგანი მომდევნო კურსის შესწავლის წინაპირობას წარმოადგენს. ძირითადი სპეციალობის თითოეული სასწავლო კურსის სწავლის შედეგი უმრავლეს შემთხვევაში შეესაბამება პროგრამის სწავლის შედეგს, რაც დასტურდება კურიკულუმში წარმოდგენილი სწავლის შედეგების სქემაში მოცემული ინფორმაციით. ძირითადი სპეციალობის თითოეული სასწავლო კურსის სწავლის შედეგები შეესაბამება ბაკალავრიატის დონეს და მათგან გამომდინარეობს პროგრამის სწავლის შედეგები, თითოეული სასწავლო კურსისთვის გამოყოფილი კრედიტების რაოდენობა (საკონტაქტო და დამოუკიდებელი საათების რაოდენობა) შეესაბამება ამ კურსის შინაარსსა და სწავლის შედეგებს; სილაბუსებში მითითებული სასწავლო მასალა ძირითადად დაფუძნებულია გარემოსა და ცოცხალი ორგანიზმების, ბუნებრივი საფრთხეების, მდგრადი გარემოსადადაცვის აქტუალურ საკითხებზე, რომელიც უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას. პროგრამაში გათვალისწინებულია ზოგადი სასწავლო კურსები (სილაბუსები), რომლებიც შედგენილია იმგვარად, რომ სტუდენტს გაუადვილდეს დარგობრივი საგნების შესწავლა და წარმოადგენს სპეციალობის საგნებზე დაშვების წინაპირობებს. პროგრამის განმახორციელებელი აკადემიური პერსონალი პერმანენტულადა ხორციელებს დარგის უახლეს მიღწევებზე დაფუძნებული სასწავლო მასალებით სალექციო თემატიკის გამდიდრებას და შესაბამისი ლიტერატურით უზრუნველყოფას სილაბუსებში მითითებული სავალდებულოლი ლიტერატურა და სხვა სასწავლო მასალა ძირითადად შეესაბამება კურსის სწავლის შედეგებს.
მტკიცებულებები/ინდიკატორები - საგანამათლებლო პროგრამა, სილაბუსები; - სჯსუ-ს მიერ ჩატარებული სტუდენტთა გამოკითხვის შედეგები; - ინტერვიუები;
რეკომენდაციები: წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის - გამარტივდეს „სასწავლო პრაქტიკა -1“-ზე დაშვების წინაპირობები; - არჩევით საგანში „ნიადაგის ეკოლოგია“ ძალიან დიდი ადგილი აქვს დათმობილი ნიადაგის ცალკე სტრუქტურის და მახასიათებლების განხილვას,

სასურველია მეტი თემატიკა ნიადაგისა და ცოცხალი სამყაროს ინტერაქციაზე; - საგანი „საქართველის ბიომრავალფეროვნება“ შესაძლებელია წინაპირობის გარეშე; - სასურველია გასწორდეს საგნის „გარემოს მდგრადი განვითარება“ სილაბუსის დიზაინი და მოექცეს სხვა სილაბუსების შესაბმის ფორმატში;
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): o პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება ✓ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.4 პრაქტიკული, სამეცნიერო/კვლევითი/შემოქმედებითი/საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარება
პროგრამა უზრუნველყოფს, სწავლის შედეგების შესაბამისად, სტუდენტთა პრაქტიკული, სამეცნიერო/კვლევითი/შემოქმედებითი/საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარებას და/ან მათ კვლევით პროექტებში ჩართვას.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი პროგრამა, სწავლის შედეგებისა და საფეხურის შესაბამისად, უზრუნველყოფს სტუდენტებისთვის პრაქტიკული უნარების გამომუშავებას. მისასალმებელია რომ ეკოლოგიის პროგრამაში გათალისწინებულია საველე პრაქტიკა რომელსაც დათმობილი აქვს 10 კრედიტი, პრაქტიკის დროს სტუდენტი იმყოფება ობიექტზე და ეცნობა ადგილზე არსებულ რეალურ მდგომარეობას. სასწავლო პრაქტიკის გავლის პერიოდში სტუდენტს ხელმძღვანელობას უწევენ დარგის კვალიფიკაციური სპეციალისტები: ქიმიის, ბიოლოგიის, სოფლის მეურნეობის, ინჟინერიისა და ტექნოლოგიების დოქტორები, რაც მნიშვნელოვანი სეგმენტია რადგან ისინი ერთის მხრივ არიან სხვადასხვა დარგის სპეციალისტები, მაგრამ ამავე დროს ქმნიან ეკოლოგიის როგორც, მიმართულებათაშორისი სპეციალობის მომზადებისათვის საჭრო უნარებს პრაქტიკების გავლის პერიდოში. გაფორმებულია მემორანდუმები დაცული ტერიტორიების სააგენტოსთან და გარემოს ეროვნულ სააგენტოსთან, რომელიც ითვალისწინებს პარქტიკების გავლისას უნივერსიტეტისთვის ხელშეწყობას და დახმარების გაწევას. სასწავლო კურსებში გათვალისწინებულია ლაბორატორიული სამუშაოები, ჯგუფში მუშაობა და პრაქტიკული მეცადინეობები, რაც ხელს უწყობს სტუდენტებში ლაბორატორიული და პრაქტიკული უნარების განვითარებას. ასევე მნიშვნელოვანია საბკალავრო ნაშრომის სავალდებულო შესრულება, რომელშიც გათვალისწინებულია დამოუკიდებელი კვლევის ელემენტები.

სჯსუ უზრუნველყოფს სტუდენტთა სამეცნიერო/კვლევით პროექტებში ჩართვას ხელშეწყობას რაც კიდევ უფრო განავითარებს სამეცნიერო კვლევითი და ტრანსფერული უნარებს, ასევე სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტში ჩატარდა ღონისძიებები, რომელიც მოიცავდა ინფორმაციას ცნობიერების ამაღლების აქტივობების შესახებ. პროგრამის პრაქტიკული კომპონენტი ორგანიზებული და დაგეგმილია პროგრამის სწავლის შედეგების შესაბამისად;
მტკიცებულებები/ინდიკატორები - საბაკალავრო პროგრამა ეკოლოგია და სილაბუსები; - ინტერვიუები; - აკადემიური/მოწვეული პერსონალის განვითარების მიზნით განხორციელებული ღონისძიებები; - შესაბამისი ხელშეკრულებები/მემორანდუმები; - სტუდენტთა კმაყოფილების კვლევის ანალიზი; - აკადემიური/მოწვეული პერსონალის გამოკითხვის ანალიზი; - საბაკალავრო პროექტის/ნაშრომის მომზადების ინსტრუქცია;
რეკომენდაციები: წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): o პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) o მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში) o
შეფასება ✓ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.5 სწავლება-სწავლის მეთოდები
პროგრამა ხორციელდება სტუდენტზე ორიენტირებული სწავლება-სწავლის მეთოდების გამოყენებით. სწავლება-სწავლის მეთოდები შეესაბამება სწავლების საფეხურს, კურსის

შინაარსს, სწავლის შედეგებს და უზრუნველყოფს მათ მიღწევას.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი ეკოლოგიის თითოეული სასწავლო კურსის სწავლება-სწავლის მეთოდები შეესაბამება ბაკალავრიატის საფეხურს, კურსის შინაარსს, სწავლის შედეგებს და უზრუნველყოფს მათ მიღწევას; პროგრამა ხორციელდება სტუდენტზე ორიენტირებული სწავლა-სწავლების მეთოდების გამოყენებით. როგორც თეორიული, ისე პრაქტიკული მეცადინეობებით, აგრეთვე სტუდენტის დამოუკიდებელი მუშაობის გზით. გამოყენებულია სწავლისა და სწავლების შემდეგი მეთოდები: ლექცია; სემინარი, სამუშაო ჯგუფში მუშაობა, პრაქტიკული/ლაბორატორიული მუშაობა, გონებრივი იერიში, ჯგუფური მუშაობა და სხვა. ზემოაღნიშნული მეთოდების რეალიზაციის მიზნით გამოყენებულია შემდეგი ხერხები: ზეპირი, წერითი, პრაქტიკულ-თეორიული დავალებები, ტესტები, პრეზენტაცია.
მტკიცებულებები/ინდიკატორები - ეკოლოგიის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა; - სილაბუსები; - ინტერვიუები;
რეკომენდაციები: წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): o პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) o მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
შეფასება ✓ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.6. სტუდენტების შეფასება

სტუდენტების შეფასება ხორციელდება დადგენილი პროცედურების მიხედვით, გამჭვირვალეა და კანონმდებლობასთან შესაბამისი.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ანგარიშის, მასზე თანდართული დოკუმენტაციისა და აკრედიტაციის ვიზიტის შედეგად მიღებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით, დადგინდა რომ სტუდენტების შეფასება ხორციელდება დადგენილი პროცედურების მიხედვით, გამჭვირვალე და კანონმდებლობასთან შესაბამისია. სასწავლო კურსების სილაბუსების მიხედვით, სწავლის შედეგების მიღწევის შესაფასებლად სემესტრის განმავლობაში მეტწილად გამოიყენება ცოდნის შეფასების მრავალკომპონენტიანი სისტემა, კერძოდ კი შუალედური შეფასებები და დასკვნითი გამოცდა, რომელთა ჯამი წარმოადგენს საბოლოო შეფასებას - 100 ქულას. საბაკალავრო პროგრამა „ეკოლოგიის“ თითოეული სასწავლო კურსის შეფასების კომპონენტები და მეთოდები ითვალისწინებს კურსის სპეციფიკას და შეესაბამება ამ კურსის სწავლის შედეგებს. სწავლების პროცესში განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება სტუდენტებთან უკუკავშირს, მათ დროულ და დეტალურ ინფორმირებას შუალედური შეფასებებისა და დასკვნითი/დამატებითი გამოცდების შედეგების შესახებ, რაც სტუდენტებს საშუალებას აძლევს, სწავლის პროცესში უკეთ გაიაზრონ თავიანთი შედეგები, გასაუმჯობესებელი მხარეები და იზრუნონ თავიანთ პროფესიულ განვითარებაზე. შუალედური შეფასებებისა და დასკვნითი გამოცდის შეფასების გაცნობისა და განმარტების მიზნით შესაძლოა, გამოყენებულ იქნას ასევე პროგრამის აკადემიური პერსონალის სავალდებულო საკონსულტაციო საათები. სასწავლო კომპონენტის განმახორციელებელ პირს ევალება სტუდენტებს პირველივე შეხვედრაზე გააცნოს სასწავლო კურსის მიზანი, სილაბუსის შინაარსი, სავარაუდო შედეგები, ამ შედეგების მიღწევის გზები და საშუალებები, შეფასების კრიტერიუმები. სასწავლო კურსებში ყველაზე ხშირად გამოყენებული შეფასების ფორმებია: წერითი, ზეპირი დავალება, პრეზენტაცია. სასწავლო კურსის სპეციფიკის გათვალისწინებით შეფასების ფორმებს და კრიტერიუმებს ადგენს შესაბამისი სასწავლო კურსის ავტორი/ავტორები. სტუდენტის სწავლის შედეგების მიღწევის მონიტორინგს ახორციელებენ პროგრამის ხელმძღვანელი, უნივერსიტეტისა და ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურები. უზრუნველყოფილია სტუდენტთა შეფასების შედეგების გასაჩივრება, რაც ასევე დაადასტურეს პროგრამის სტუდენტებმა. აკრედიტაციის ვიზიტის დროს პროგრამის აკადემიურმა და მოწვეულმა პერსონალმა აღნიშნა, რომ უსდ-სგან შეფასების თანამედროვე მეთოდების კუთხით უნარების განვითარებისათვის იღებენ მხარდაჭერას,
მტკიცებულებები/ინდიკატორები - საბაკალავრო საგანამათლებლო პროგრამა, სილაბუსები; - შეფასების ფორმები, კომპონენტები და მეთოდები; - ინტერვიუები; - სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი;

- სჯსუ ვებ-გვერდი;
რეკომენდაციები: წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): o პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) o მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
შეფასება ✓ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა	✓			

3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა

პროგრამა უზრუნველყოფს სტუდენტზე ორიენტირებული გარემოს შექმნას, შესაბამისი სერვისების შეთავაზებით; ხელს უწყობს სტუდენტების მაქსიმალურ ინფორმირებას, ახორციელებს მრავალფეროვან ღონისძიებებს და ხელს უწყობს სტუდენტების ჩართულობას ადგილობრივ და/ან საერთაშორისო პროექტებში.

3.1 სტუდენტთა საკონსულტაციო მომსახურება
სტუდენტი იღებს სასწავლო პროცესის დაგეგმვაზე, აკადემიური მიღწევების გაუმჯობესებაზე, დასაქმებაზე სათანადო კონსულტაციას და კარიერულ განვითარებასთან

დაკავშირებით მხარდაჭერას.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება უზრუნველყოფს სტუდენტებს სასწავლო პროცესთან დაკავშირებული ინფორმაციით როგორც ელექტრონული, ასევე პირდაპირი კომუნიკაციის ფორმით. ინტერვიუების დროს განსაკუთრებით გამოიკვეთა, რომ სტუდენტებს არ აქვთ ბარიერები აკადემიურ თუ ადმინისტრაციულ პერსონალთან ურთიერთობაში. საგულისხმო ფაქტორია, რომ დაწესებულების პოლიტიკაა სავალდებულო ხასიათი მისცეს აკადემიური პერსონალის მიერ საკონსულტაციო საათების წარმართვას და მათ შესახებ სტუდენტთა ინფორმირებას. იკვეთება, რომ სტუდენტებს აქვთ ინფორმაცია შიდასაუნივერსიტეტო პროცესებსა და შიდასაუნივერსიტეტო რესურსებით სარგებლობის წესზე. უსდ-ში მოქმედებს რექტორთან შეხვედრების ფორმატი „რექტორის საათი“, რომელზეც სტუდენტები არაფორმალურ გარემოში ხვდებიან რექტორს და უზიარებენ აზრებს, შეხედულებებს უნივერსიტეტის განვითარებასთან დაკავშირებით. შეხვედრების მსგავსი ფორმატი განსაკუთრებით მნიშვნელოვანია სტუდენტებისთვის მათი საუნივერსიტეტო პროცესებთან მეტად ინტეგრაციის კუთხით. მნიშვნელოვანია, რომ უნივერსიტეტი ხელს უწყობს ინტერნაციონალიზაციის კომპონენტის განვითარებას, აქვთ როგორც Erasmus + გაცვლითი პროგრამები, აგრეთვე პირდაპირი თანამშრომლობა უნივერსიტეტებთან. უნივერსიტეტის განცხადებით, მიმდინარე პერიოდში აქვთ 4 მიმდინარე პროგრამა და აგრეთვე თანამშრომლობენ 30ზე მეტ უნივერსიტეტთან. საერთაშორისოსთან ერთად, სტუდენტებისთვის ღიაა ადგილობრივ პროექტებში, სხვადასხვა ტიპის ღონისძიებებში მონაწილეობის შესაძლებლობა. ერთ-ერთი მაგალითია თანამშრომლობითი პროექტები ა/ო ნეკრესთან, სადაც ეკოლოგიის პროგრამის სტუდენტები პრაქტიკულ გამოცდილებას იღებენ. უნივერსიტეტის მიერვეა უზრუნველყოფილი პრაქტიკული კომპონენტის ტექნიკურ-მატერიალური უზრუნველყოფა. მნიშვნელოვანი მომენტია, რომ პანდემიის პირობებში უნივერსიტეტმა მატერიალური რესურსებით უზრუნველყო ის სტუდენტები, რომელთაც ჰქონდათ ამის საჭიროება. კერძოდ, მათ მიწეოდათ კომპიუტერული ტექნიკა და სრულად დაუფინანსდათ ინტერნეტის ღირებულება. აღნიშნული ნამდვილად გამოკვეთს იმას, რომ უნივერსიტეტი ორიენტირებულია სტუდენტთა მხარდაჭერასა და მათი საგანმანათლებლო პროცესის უწყვეტობაზე. სტუდენტებს აგრეთვე ყოველსემესტრულად უტარდებათ გამოკითხვა სალექციო პროცესების კმაყოფილებასთან მიმართებით. უნივერსიტეტში ასევე ხორციელდება კარიერული მხარდაჭერის ღონისძიებები, რომლისთვის სპეციალური სამსახურიც არსებობს. აღნიშნული სამსახური ორგანიზებას უწევს დასაქმების ფორუმებს, უზრუნველყოფს სტუდენტთა ინფორმირებას არსებული კარიერული შესაძლებლობების შესახებ. სამწუხარო ფაქტორად აღსანიშნავია ისიც, რომ კურსდამთავრებულთა დასაქმების (მით უმეტეს პროფესიული კუთხით) მაჩვენებელი არც ისე მაღალია. მიუხედავად იმისა, რომ ამაზე მხოლოდ უნივერსიტეტი ვერ აიღებს პასუხისმგებლობას და არსებობს უამრავი გარემო ფაქტორი, კარგი იქნება უნივერსიტეტის კარიერული კუთხით მომუშავე სამსახურმა კიდევ უფრო მეტად აქტიურად იმუშაოს დასაქმების ბაზარზე, საკუთარი კურსდამთავრებულების დასაქმების მაჩვენებლის გაზრდის მიზნით. უნივერსიტეტში მიმდინარე პროცესებისადმი კმაყოფილება გამოიხატა როგორც სტუდენტების, ასევე კურსდამთავრებულთა მხრიდან.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- პროგრამის თვითშეფასების დოკუმენტი;
- სტუდენტთა საერთაშორისო მობილობის დოკუმენტები;
- სჯსუ-ს სტუდენტთა საკონსულტაციო მომსახურების მექანიზმი;
- ინტერვიუები

რეკომენდაციები:

წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

კარიერული კუთხით მომუშავე სამსახურმა კიდევ უფრო მეტად აქტიურად იმუშაოს დასაქმების ბაზარზე, საკუთარი კურსდამთავრებულების დასაქმების მაჩვენებლის გაზრდის მიზნით.

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

- რექტორის საათი

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

- მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

შეფასება

✓ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

3.2 მაგისტრანტთა და დოქტორანტთა ხელმძღვანელობა

მაგისტრანტებსა და დოქტორანტებს ჰყავთ კვალიფიციური ხელმძღვანელი.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

არ ფასდება

მტკიცებულებები/ინდიკატორები

0

რეკომენდაციები:

წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): o პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) o მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
შეფასება ☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა	✓			

4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა

ადამიანური, მატერიალური, საინფორმაციო და ფინანსური რესურსები უზრუნველყოფს პროგრამის მდგრად, სტაბილურ, ეფექტიან და ეფექტურ ფუნქციონირებას და განსაზღვრული მიზნების მიღწევას.

4.1 ადამიანური რესურსი
➢ პროგრამას ახორციელებენ შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე პირები, რომლებსაც აქვთ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების გამომუშავებისათვის აუცილებელი კომპეტენცია; ➢ პროგრამის განმახორციელებელი აკადემიური/სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრული სასწავლო პროცესის წარმართვას და ასევე, სამეცნიერო-კვლევითი/შემოქმედებითი/საშემსრულებლო საქმიანობისა და სხვა მათზე დაკისრებული ფუნქციების ჯეროვან შესრულებას. აკადემიურ და მოწვეულ პერსონალს შორის ბალანსი უზრუნველყოფს პროგრამის მდგრადობას; ➢ პროგრამის ხელმძღვანელს გააჩნია პროგრამის შემუშავებისათვის აუცილებელი

ცოდნა და გამოცდილება და უშუალოდაა ჩართული პროგრამის განხორციელებაში;

- პროგრამის სტუდენტები, უსდ-ის მიერ უზრუნველყოფილები არიან სათანადო რაოდენობისა და შესაბამისი კომპეტენციის მქონე ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალით.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

წარმოდგენილ საბაკალავრო პროგრამას ახორციელებს სჯსუ-ს აკადემიური და მოწვეული პერსონალი, რომლებიც პროგრამაში ჩართულები არიან სჯსუ-ს შიდა რეგულაციების შესაბამისად და თანხვედრაშია მოქმედ კანონმდებლობასთან.

პროგრამის განმახორციელებელი აკადემიური/სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის კვალიფიკაცია, რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრული სასწავლო პროცესის ჯეროვან შესრულებას და პროგრამის მდგრადობას. დაწესებულების პრაქტიკაში დანერგილია აკადემიური და მოწვეული პერსონალის სემესტრულად განახლებადი დატვირთვის სქემა, რომელიც მოიცავს სასწავლო და სამეცნიერო-კვლევით დატვირთვას მათზე დაკისრებული ფუნქცია-მოვალეობებიდან გამომდინარე.

პროგრამის განხორციელებაში ჩართულია 19 კვალიფიცირებული აკადემიური/მოწვეული პერსონალი. მათ შორის აფილირებული პროფესორი - 6, აფილირებული ასოცირებული პროფესორი - 5, ეკოლოგიის საბაკალავრო სამაგისტრო პროგრამაზე ძირითადი სწავლის სფეროს შესაბამისი 26 სავალდებულო სასწავლო კურსებიდან 13 კურსი იკითხება სჯსუ-ს აკადემიური პერსონალის მიერ. აღსანიშნავია ის ფაქტი რომ მოწვეული პერსონალის ნაწილი ამავე დროს მუშაობს სამეცნიერო კვლევით ინსტიტუტებში, რაც მისასალმებელი ფაქტია. როგორც აკადემიური, ისე მოწვეული პერსონალი არის სხვადასხვა დარგის სპეციალისტები, ისეთების როგორცაა ქიმია, ფიზიკა, გეოგრაფია, ტექნოლოგიები, სოფლის მეურნეობა, საინჟინრო მეცნიერებები რაც მისაღებია დარგის სპეციფიკიდან გამომდინარე.

აკადემიური და მოწვეული პერსონალი სწავლების გარდა ჩართულია სტუდენტების კონსულტირების და პროგრამის განვითარების პროცესებში, ასევე პროგრამის ფარგლებში დაგეგმილ სხვადასხვა ღონისძიებებში.

პროგრამის ხელმძღვანელს გააჩნია საკმაოდ დიდი გამოცდილება და წვლილი პროგრამის შემუშავებაში. იგი უშუალოდ იღებს მონაწილეობას პროგრამის თითოეული კომპონენტის შექმნასა და დახვეწაში.

პროგრამა უზრუნველყოფილია სათანადო კომპეტენციისა და გამოცდილების მქონე ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალის მეშვეობით.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- ინტერვიუები;
- პროგრამაში მონაწილე აკადემიური/მოწვეული პერსონალის პირადი საქმეები: CV;
- სამეცნიერო და კვლევითი საქმიანობის ხელშემწყობი მექანიზმები -სსიპ სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის კვლევითი საქმიანობის კონცეფცია;

რეკომენდაციები:

წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ

დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): o პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) o მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
შეფასება ✓ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

4.2 აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიული განვითარება
➢ დაწესებულება რეგულარულად აწარმოებს პროგრამაში ჩართული აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის შეფასებასა და შედეგების ანალიზს; ➢ უსდ ზრუნავს აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიულ განვითარებაზე, ასევე ხელს უწყობს მათ მიერ სამეცნიერო/კვლევითი საქმიანობის განხორციელებას.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი სამცხე ჯავახეთის უნივერსიტეტი ახორციელებს აკადემიური პერსონალის მხარდაჭერის მექანიზმებს, მათ ვალდებულებებს და სამუშაოების შეფასების საკითხებს, ასევე არააფილირებული აკადემიური პერსონალისა და მოწვეული პერსონალის მართვის შეფასების, პროფესიული განვითარებისა და მხარდაჭერის მექანიზმებს. უნივერსიტეტის მუშაობის პრაქტიკაში დანერგილია აკადემიური პერსონალის მხარდაჭერა ადგილობრივი და საერთაშორისო კონფერენციების, სემინარების, ვორქშოფების, ტრენინგების, გამოფენების და სხვა სამეცნიერო შემოქმედებითი ღონისძიებების ორგანიზება-მუშაობაში, მონოგრაფიების, სახელმძღვანელოების, კვლევითი ნაშრომების და სხვა ბეჭდური მასალის გამოქვეყნებაში. სჯსუ-ში ყოველწლიურად ხორციელდება აკადემიური პერსონალის სამეცნიერო/კვლევითი მუშაობის შედეგების შეკრება და შეფასება. აღნიშნულ პროცესში ჩართულნი არიან ფაკულტეტის და ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელები. შეფასების შედეგები გამოიყენება აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიული განვითარებისთვის.

ასეთი შეფასების ერთ-ერთი შედეგია პროგრამის თვითშეფასებაში წარმოდგენილი გასაუმჯობესებელი მხარე: ევროპელ პარტნიორებთან თანამშრომლობის გაძლიერება
მტკიცებულებები/ინდიკატორები - პროგრამაში მონაწილე აკადემიური/მოწვეული პერსონალის პირადი საქმეები: CV; - სამეცნიერო და კვლევითი საქმიანობის ხელშემწყობი მექანიზმები -სსიპ სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის კვლევითი საქმიანობის კონცეფცია; - ინტერვიუები;
რეკომენდაციები:
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): o პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) o მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
შეფასება ✓ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

4.3 მატერიალური რესურსი
პროგრამა უზრუნველყოფილია იმ აუცილებელი ინფრასტრუქტურითა და ტექნიკური აღჭურვილობით, რაც საჭიროა საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მისაღწევად.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი საგანმანათლებლო პროგრამა „ ეკოლოგია“ სჯსუ-ს მხრიდან უზრუნველყოფილია შესაბამისი ინფრასტრუქტურით რაც უზრუნველყოფს სწავლის შედეგების მიღწევას. სასწავლო კურსის შესწავლისას გამოყენებული ლიტერატურა ემყარება დარგობრივ საკითხებს, უნივერსიტეტი უზრუნველყოფილია სამეცნიერო ლიტერატურის ელექტრონული მონაცემთა ბაზით,

პროგრამას ემსახურება სალექციო აუდიტორიები და ლაბორატორიები პრაქტიკული სამუშაოებისათვის. აღსანიშნავია, რომ პანდემიის პირობებში უნივერსიტეტმა შეძლო ონლაინ სივრცეში ადაპტირება და ზოგი ლაბორატორიული მეცადინეობა ონლაინ რეჟიმში გრძელდება. უნივერსიტეტის მიერ სტუდენტებისატის შეძენილ იქნა ინტრნეტ პაკეტები. სტუდენტები ინფორმირებულები არიან არსებული რესურსების გამოყენების შესაძლებლობის და მოხმარების წესების შესახებ. თანამშრომლობის მემორანდუმები გაფორმებულია საკმაოდ ბევრ ორგანიზაციასთან რაც ხელს შეუწყობს სასწავლო საქმიანობისათვის მათი რესურსების გამოყენებას.
მტკიცებულებები/ინდიკატორები- - საბიბლიოთეკო ფონდი; - ინტერვიუები; - აუდიტორიების და კაბინეტ-ლაბორატორიების ფაქტობრივი მდგომარეობა[- გაფორმებული მემორონდუმები;
რეკომენდაციები: წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): o პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) o მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
შეფასება ✓ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

4.4 პროგრამის/ფაკულტეტის/სკოლის ბიუჯეტი და პროგრამის ფინანსური მდგრადობა
პროგრამის/ფაკულტეტის/სკოლის ბიუჯეტით გათვალისწინებული ფინანსური რესურსების გამოყოფა ეკონომიკურად მიღწევადია და შეესაბამება პროგრამის საჭიროებებს.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი როგორც უნივერსიტეტის კონსოლიდირებულ, ისე ფაკულტეტის საგანმანათლებლო პროგრამის წარმოდგენილ ბიუჯეტში გათვალისწინებულია პროგრამის დაფინანსების ხარჯები. ხარჯებში შემავალი კომპონენტებია: შრომითი ანაზღაურება როგორც საშტატო, ისევე შტატგარე პერსონალისთვის,საბაკალავრო პროექტის/ნაშრომის თემის ხელმძღვანელის ანაზღაურება; გაწერილია თანხა მატერიალურ-ტექნიკური ბაზის გაუმჯობესებისათვის და სხვა.
მტკიცებულებები/ინდიკატორები - სჯსუ ბიუჯეტი; - ინტერვიუები;
რეკომენდაციები: წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): o პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) o მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
შეფასება ✓ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა	✓			

5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები

სწავლების ხარისხის განვითარების მიზნით პროგრამა იყენებს შიდა და გარე ხარისხის სამსახურებს, პერიოდულ მონიტორინგსა და შეფასებას უწევს პროგრამას. აგროვებს და აანალიზებს რელევანტურ ინფორმაციას შესაბამისი გადაწყვეტილების მისაღებად და განსავითარებლად.

5.1 შიდა ხარისხის შეფასება

პროგრამაში ჩართული პერსონალი თანამშრომლობს შიდა ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან/პერსონალთან პროგრამის ხარისხის შეფასების პროცესის დაგეგმვის, შეფასების ინსტრუმენტების შემუშავებისა და შეფასების განხორციელების პროცესში და იყენებს ხარისხის შეფასების შედეგებს პროგრამის გასაუმჯობესებლად.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის განვითარებისა და ხარისხის უზრუნველყოფის მიზნით 2012 წლიდან აკრედიტაციის მიღების შემდგომ საანგარიშო პერიოდში დაწესებულების მიერ პერმანენტულად მიმდინარეობდა პროგრამის განახლება, გადამუშავება/მოდიფიცირება. 2019 წლიდან მიმდინარეობდა ეკოლოგიის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამისა და თითოეული სასწავლო კურსის სილაბუსის მოდიფიცირება საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 10 აპრილის №69/ნ ბრძანების ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩო და სწავლის სფეროების კლასიფიკატორის შესაბამისად. ცვლილება განიცადა პროგრამის სტრუქტურამ, კონცეფციამ და თითოეულმა სასწავლო კურსის სილაბუსმა. ამასთან, განახლდა პროგრამის განხორციელებისათვის აუცილებელი სავალდებულო და დამატებითი სასწავლო რესურსი.

გარდა ზემოთ აღნიშნულისა, როგორც დაწესებულების ადმინისტრაციასთან, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის წარმომადგენლებთან და აკადემიურ/მოწვეულ პერსონალთან ინტერვიუს შედეგად დადგინდა, დაწესებულება საანგარიშო პერიოდში საბაკალავრო პროგრამის განხორციელების შეფასების პროცესში მუდმივად ცდილობდა საუნივერსიტეტო გარემო გაეხადა უფრო სასურველი თანამშრომლებისთვის, უზრუნველყოფილი ყოფილიყო პერსონალისთვის აკადემიური თავისუფლება, აკადემიური კეთილსინდისიერება და ფინანსური მდგრადობა. მაგალითად, ბოლო წლებში ორჯერ გაიზარდა ხელფასები 10%-ით, ამასთან შემცირდა 2 საათით პროფესორების სააუდიტორიო დატვირთვა, რათა საათობრივი დატვირთვა ხელმისაწვდომი ყოფილიყო ახალგაზრდა კადრებისთვის. დაგეგმილი აქვთ მომავალში სადოქტორო პროგრამების გაძლიერება, რათა ადგილობრივი კადრების მომზადებას ხელი შეეწყოს და ადგილზე მოხდეს მათი დასაქმება. პროგრამის განხორციელებაში ჩართული პერსონალი, ფაკულტეტისა და დაწესებულების ადმინისტრაცია თანამშრომლობს ბორჯომ-ხარაგაულის ეროვნულ პარკში მომუშავე ორგანიზაციებთან და ეკოლოგიის მიმართულებით სხვადასხვა პროექტებთან, ამასთანავე, სტუდენტები ჩართული არიან ასეთი სახის პროექტებში. ბოლო აკრედიტაციიდან დღემდე სრულად შეიძინეს ლაბორატორიები. პროფესორებისთვის აქვთ მხარდაჭერის მექანიზმები. მაგალითად, პროფესორებს სტატიების გამოცემაში დახმარებას უწევენ და დაწესებულების სტამბაშივე იბეჭდება სალექციო კურსები/სახელმძღვანელოები. დაწესებულებას აქვს საერთო საცხოვრებელი პროფესორებისთვის, ამასთან, პროფესორებს თბილისიდან ემსახურებათ ტრანსპორტი.

როგორც პროგრამის თვითშეფასების ჯგუფის წარმომადგენლებთან ინტერვიუს დროს

გამოიკვეთა, დაწესებულებამ პროგრამის თვითშეფასების ანგარიშის მომზადებაზე მუშაობა დაიწყო 6 თვით ადრე, თუმცა პროგრამის განხორციელების შეფასების პროცესი მუდმივად ხდებოდა საანგარიშო პერიოდის განმავლობაში შიდა ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმების შესაბამისად. თვითშეფასების ანგარიშის საბოლოო ვერსია მომზადდა ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურისა და პროგრამის ხელმძღვანელის მიერ ერთობლივად, ამასთან, თვითშეფასების პროცესში ჩართული იყო ყველა დაინტერესებული მხარე. საგანმანთლებლო პროგრამის თვითშეფასების ჯგუფი წამოდგენილია პროგრამის ხელმძღვანელით, პროგრამის განხორციელებაში ჩართული აკადემიური/მოწვეული/ადმინისტრაციული პერსონალით, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის წევრებით, სტუდენტებით, კურსდამთავრებულებითა და დამსაქმებლით. თვითშეფასების ჯგუფს კოორდინირებას უწევდნენ პროგრამის ხელმძღვანელი და ფაკულტეტისა და უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურები. თვითშეფასების ჯგუფის წევრებს შორის განაწილდა ფუნქციები და განისაზღვრა შესაბამისი პასუხისმგებლობები. თვითშეფასების ფორმით გათვალისწინებული თითოეული ველი შევსებულია თვითშეფასების მომენტისთვის დაზუსტებული ინფორმაციით. პროგრამის ხელმძღვანელი, აკადემიური/მოწვეული პერსონალი ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის სპეციალისტთან ერთად ჩართული იყო პროგრამის დაგეგმვის, შეფასებისა და განვითარების პროცესებში. პროგრამის ხელმძღვანელი, ხარისხის უზრუნველყოფის სპეციალისტთან ერთად პერიოდულად ახდენდა პროგრამის პრეზენტაციას, რომელსაც ესწრებოდა ყველა დაინტერესებული მხარე: აკადემიური პერსონალი, სტუდენტები, დამსაქმებლები, ადმინისტრაციის თანამშრომლები. შეხვედრებზე დეტალურად იხილებოდა პროგრამის ყველა კომპონენტი, ასევე თითოეული სილაბუსი. შესაბამისად გათვალისწინებულ იქნა მათი ყველა რეკომენდაცია, რამაც ხელი შეუწყო პროგრამის ადაპტირებას და განვითარებას.

შიდა ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმის ეფექტურად განსახორციელებლად უნივერსიტეტი აქტიურად მართვას ადგილობრივ და საერთაშორისო ტრენინგებს პერსონალისა და სტუდენტებისათვის. ნერგავს ახალ პროექტებს. თვითშეფასების პროცესში და, ზოგადად, საანგარიშო პერიოდში დაწესებულების ადმინისტრაცია და ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური მუდმივად ცდილობდა სხვადასხვა ღონისძიებების, აქტივობების ჩატარებას პერსონალის პროფესიული განვითარების მიზნით, მაგალითად, ტრენინგები, სამუშაო მივლინებები, კვალიფიკაციის ასამაღლებელი კურსები თუ კონფერენციები. ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მუშაობის ნაწილს წარმოადგენდა სემინარებისა და ტრენინგების ჩატარება, განსაკუთრებით ისეთ პერიოდში, როდესაც რეგულაციები, წესები, საკანონმდებლო აქტები ხშირად იცვლება.

უნივერსიტეტს შემუშავებული აქვს საგანმანათლებლო პროგრამების ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმები, რომლის საფუძველზე უნივერსიტეტი რეგულარულად აწარმოებს პროგრამაში ჩართული აკადემიური/მოწვეული პერსონალის შეფასებასა და შედეგების ანალიზს. ზრუნავს აკადემიური და მოწვეული პერსონალის პროფესიულ განვითარებაზე, ასევე ხელს უწყობს მათ მიერ სამეცნიერო/კვლევითი საქმიანობის განხორციელებას.

შეფასების სისტემისა და მონიტორინგის შედეგების რეაგირების მექანიზმების შესაბამისად მიღებული კვლევის შედეგები ეგზავნება შესაბამის სტრუქტურულ ერთეულებს, რომლებიც ადგენენ საქმიანობის გასაუმჯობესებელ და ძლიერ მხარეებს, განსაზღვრავენ გაუმჯობესების შესაძლებლობებს. კვლევის შედეგები და მათზე რეაგირების გზები აისახება შესაბამისი სტრუქტურული ერთეულების ანგარიშებში და წარედგინება გადაწყვეტილების მიმღებ ორგანოებს. მიღებული გადაწყვეტილებების

საფუძველზე ხორციელდება შესაბამისი ცვლილებები, კვლავ ფასდება შემდგომ დაგეგმილი და განხილული მეთოდების შესაბამისად და თავიდან იწყება „დაგეგმე – განახორციელე – შეამოწმე – განავითარე“ ციკლი ხარისხის უზრუნველსაყოფად. უნდა აღინიშნოს, რომ თვითშეფასების ანგარიშში არ იყო წარმოდგენილი თვითშეფასების პროცესში გამოვლენილი სუსტი მხარეების აღმოსაფხვრელად დაგეგმილი აქტივობები. აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფმა დამატებით გამოითხოვა აღნიშნული მასალა, რომელიც იმავე დღეს დაწესებულების მხრიდან დაუყოვნებლივ მიეწოდათ ექსპერტებს.
მტკიცებულებები/ინდიკატორები - საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია; - პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმი; - პროგრამის სწავლის შედეგების განხორციელებული შეფასების მასალები; - საგანმანათლებლო პროგრამის ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები; - სტუდენტთა/აკადემიურიპერსონალის/კურსდამთავრებულთა/დამსაქმებელთა გამოკითხვის ფორმები (კითხვარები); - ლექცია/სემინარზე დაკვირვების ფორმა; - სტუდენტთა გამოკითხვის შედეგები, ანალიზი; - პერსონალის გამოკითხვებისა და კვლევების შედეგები; - დამსაქმებელთა კმაყოფილების კვლევა; - 2016-2020 წწ კურსდამთავრებულების კვლევის შედეგები; - აკადემიური მოსწრების ანალიზის მასალები; - აკადემიური/მოწვეული პერსონალის ურთიერთდასწრების ოქმების შედეგების შეფასება/კვლევა; - კვლევითი საქმიანობის ხარისხის შეფასების სისტემა; - პლაგიატის აღმოჩენის, პრევენციისა და რეაგირების მექანიზმები; - დაწესებულების ვებგვერდი; - ინტერვიუ დაწესებულების ადმინისტრაციულ პერსონალთან და ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის წარმომადგენლებთან; - ინტერვიუ აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან; - ინტერვიუ სტუდენტებთან, კურსდამთავრებულებთან, დამსაქმებლებთან; - თვითშეფასების ჯგუფის ონ-ლაინ შეხვედრების დამადასტურებელი მასალები (ეკრანის ანაბეჭდები ე.წ. „სქრინშოტები“); - ექსპერტთა მიერ დამატებით გამოთხოვილი დოკუმენტაცია-თვითშეფასების პროცესში გამოვლენილი სუსტი მხარეების აღმოსაფხვრელად დაგეგმილი აქტივობები.
რეკომენდაციები:
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

შეფასება

✓ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

5.2 გარე ხარისხის შეფასება

პროგრამა რეგულარულად იყენებს გარე ხარისხის შეფასების შედეგებს.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

ეკოლოგიის საბაკალავრო პროგრამამ აკრედიტაცია გაიარა 2012 წელს. განახლებულ და ამჟამად აკრედიტაციის მოპოვების მიზნით წარმოდგენილ პროგრამაში გათვალისწინებულია ყველა რეკომენდაცია, რომელიც 2012 წელს აკრედიტაციის ექსპერტთა მიერ იქნა გაცემული.

გარდა ზემოთ აღნიშნულისა, პროგრამას აქვს მიღებული ორი განმავითარებელი კოლეგიალური შეფასება საქართველოს უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებიდან (ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტიდან). ამასთან, ეკოლოგიის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა გაგზავნილი იყო საზღვარგარეთ ჰარპერ ადამსის უნივერსიტეტში (ლონდონი, ინგლისი) გარე კოლეგიალური შეფასების მიღების მიზნით. აკრედიტაციის ექსპერტთა ვიზიტის მიმდინარეობისას დამატებით გამოთხოვილ მასალებთან ერთად ვიზიტის განხორციელების პროცესში იმავე დღეს წარმოდგენილ იქნა მიღებული აღნიშნული შეფასება უცხოური საგანმანათლებლო დაწესებულებიდან. სასურველი იქნებოდა, მისი წარმოდგენა დაწესებულების სატიტულო ფურცელზე და/ან უნდა ახლდეს შემფასებლის ხელმოწერა.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- გარე კოლეგიალური შეფასებები საქართველოს უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებიდან;
- გარე კოლეგიალური შეფასება საზღვარგარეთის უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებიდან;
- საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილება N 384, 13.09.2012 წ.;
- აკრედიტაციის ექსპერტთა მიერ დამატებით მოთხოვნილი დოკუმენტაცია - 2012 წლის აკრედიტაციის ექსპერტთა დასკვნა;
- საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს სხდომის ოქმი #12; 13.09. 2012.

რეკომენდაციები:

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება ✓ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

5.3. პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება
პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება ხორციელდება აკადემიური, სამეცნიერო, მოწვეული ადმინისტრაციული, დამხმარე პერსონალის, სტუდენტების, კურსდამთავრებულების, დამსაქმებლების და სხვა დაინტერესებული მხარეების ჩართულობით ინფორმაციის სისტემური შეგროვების, დამუშავებისა და ანალიზის მეშვეობით. შეფასების შედეგები გამოიყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი პროგრამის განხორციელების ეფექტიანობის შეფასება მოიცავს შემდეგ კომპონენტებს: პროგრამაზე ჩარიცხულ სტუდენტთა გამოკითხვა; განხორციელებული შეფასების შედეგების ანალიზი; სტუდენტთა აკადემიური მოსწრების მონიტორინგის შედეგები; პროგრამის ხელმძღვანელის ლექციებზე დასწრების შედეგების ანალიზი; პროგრამის განმახორციელებელი აკადემიური პერსონალის გამოკითხვა; კურსდამთავრებულთა გამოკითხვა; დამსაქმებელთა გამოკითხვა; პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების ანგარიში; პერსონალის საქმიანობის (სწავლებისა და კვლევის ხარისხის, საერთაშორისო მობილობის მაჩვენებელი და სხვა) შეფასება და შეფასების შედეგების გამოყენება პერსონალის პროფესიულ განვითარებაში. ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ აკადემიური, მოწვეული პერსონალის საქმიანობის შეფასება ხდება ერთი მხრივ, აკადემიური პერსონალის დატვირთვის სქემის მიხედვით, მეორე მხრივ, სააუდიტორიო მეცადინეობებზე ურთიერთდასწრების მიხედვით. უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური საგანმანათლებლო პროგრამების ხარისხის უზრუნველყოფის მიზნით, კერძოდ, პროგრამების პერიოდული შეფასებისა და განვითარებისათვის, ატარებს როგორც სტუდენტების, ასევე, აკადემიური პერსონალის კმაყოფილების კვლევას, კურსდამთავრებულთა და დამსაქმებელთა გამოკითხვებს. ამასთან, ყოველი ძირითადი სასწავლო კურსის ბოლოს, სტუდენტები აფასებენ კითხვარების მეშვეობით აღნიშნულ კურსს. აღსანიშნავია, რომ აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფმა დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასების ანგარიშსა და თანდართულ მასალებში ვერ მოიძია დამადასტურებელი მასალა იმისა, რომ პერიოდულად ხდება პროგრამის დადარება უცხოური უნივერსიტეტების ანალოგიურ პროგრამებთან. აღნიშნული მასალით

დადასტურდებოდა, რომ პროგრამის თანამედროვე მოთხოვნებთან შესაბამისობაში მოყვანის მიზნით დაწესებულება იყენებს საუკეთესო საერთაშორისო პრაქტიკას. თუმცა, დაწესებულების ადმინისტრაციისა და ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის წარმომადგენლებთან, ასევე აკადემიურ/მოწვეულ პერსონალთან და პროგამის ხელმძღვანელთან ინტერვიუს დროს აღინიშნა, რომ მათი შეხვედრებისას ხშირად განიხილებოდა უცხოური ანალოგიური პროგრამები, კერძოდ, მუდლის პლატფორმაზე გახსნილია ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ფანჯარა და მისი გამოყენებითაც მიმდინარეობდა მსგავსი განხილვა/შედარება.

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფი მიიჩნევს, რომ საუკეთესო საერთაშორისო პრაქტიკის გასაზიარებლად საჭიროა დაწესებულებამ დოკუმენტური სახით პერიოდულად უზრუნველყოს საბაკალავრო პროგრამის შედარება/დადარება საზღვარგარეთის წამყვანი უნივერსიტეტების ანალოგიურ საგანმანათლებლო პროგრამებთან. შერჩეული, შესწავლილი და გაანალიზებული უნდა იქნას ასეთი უნივერსიტეტების მაგალითები და შეიქმნას შედარების ანალიტიკური დოკუმენტი, რომელიც გამოყენებული იქნება პროგრამის შემდგომი განვითარებისთვის.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია;
- პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმი;
- პროგრამის სწავლის შედეგების განხორციელებული შეფასების მასალები;
- საგანმანათლებლო პროგრამის ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები;
- სტუდენტთა/აკადემიურიპერსონალის/კურსდამთავრებულთა/დამსაქმებელთა გამოკითხვის ფორმები (კითხვარები);
- ლექცია/სემინარზე დაკვირვების ფორმა;
- სტუდენტთა გამოკითხვის შედეგები, ანალიზი;
- პერსონალის გამოკითხვებისა და კვლევების შედეგები;
- დამსაქმებელთა კმაყოფილების კვლევა;
- 2016-2020 წწ კურსდამთავრებულების კვლევის შედეგები;
- აკადემიური მოსწრების ანალიზის მასალები;
- აკადემიური/მოწვეული პერსონალის ურთიერთდასწრების ოქმების შედეგების შეფასება/კვლევა;
- კვლევითი საქმიანობის ხარისხის შეფასების სისტემა;
- პლაგიატის აღმოჩენის, პრევენციისა და რეაგირების მექანიზმები;
- დაწესებულების ვებგვერდი;
- ინტერვიუ დაწესებულების ადმინისტრაციულ პერსონალთან და ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის წარმომადგენლებთან;
- ინტერვიუ აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან;
- ინტერვიუ სტუდენტებთან, კურსდამთავრებულებთან, დამსაქმებლებთან;
- თვითშეფასების ჯგუფის ონ-ლაინ შეხვედრების დამადასტურებელი მასალები (ეკრანის ანაბეჭდები ე.წ. „სქრინშოტები“);
- ექსპერტთა მიერ დამატებით გამოთხოვილი დოკუმენტაცია-თვითშეფასების პროცესში გამოვლენილი სუსტი მხარეების აღმოსაფხვრელად დაგეგმილი აქტივობები.

რეკომენდაციები:

საუკეთესო საერთაშორისო პრაქტიკის გასაზიარებლად დაწესებულებამ დოკუმენტური სახით პერიოდულად უზრუნველყოს საბაკალავრო პროგრამის შედარება/დადარება

საზღვარგარეთის წამყვანი უნივერსიტეტების ანალოგიურ საგანმანათლებლო პროგრამებთან. შერჩეული, შესწავლილი და გაანალიზებული უნდა იქნას ასეთი უნივერსიტეტების მაგალითები და შეიქმნას შედარების ანალიტიკური დოკუმენტი, რომელიც გამოყენებული იქნება პროგრამის შემდგომი განვითარებისთვის.
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება ☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ✓ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები	✓			

თანდართული დოკუმენტაცია (არსებობის შემთხვევაში)

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სახელწოდება: სსიპ =სამცვხე ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტი

უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება, საფეხური: ეკოლოგია, ბაკალავრიატი

დასკვნის გვერდების რაოდენობა: 32

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტები	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა	✓			
2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა	✓			
3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა	✓			
4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა	✓			
5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები	✓			

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარე

ვაჟა ტრაპაიძე

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრები

ბელა ჯაფოშვილი

ია ნაცვლიშვილი

ვლადიმერ ბერაია